



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030191199282715

№ 01-150/თ

21 / მაისი / 2015 წ.

**„კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების  
(პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**


**1. დამტკიცდეს:**

- ა) „გლაუკომის მართვა“ (დანართი N1);
- ბ) „მინისებური სხეულის უკანა ჩამოცლის, ბადურა გარსის ნახეთქებისა და ცხავისებური დეგენერაციის მართვა“ (დანართი N2);
- გ) „აქტინური კერატოზის დიაგნოსტიკა და მართვა“ (დანართი N3);
- დ) „აბორტის შემდგომი პერიოდის მართვა“ (დანართი N4);
- ე) „ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ (დანართი N5);
- ვ) „ჭარბი წონისა და სიმსუქნის მართვა“ (დანართი N6);
- ზ) „თავის თმის არის მიკოზების მართვა“ (დანართი N7);
- თ) „მუნის მართვა“ (დანართი N8);
- ი) „ჭინჭრის ციება“ (დანართი N9);
- კ) „კონტაქტური დერმატიტის მართვა“ (დანართი N10);
- ლ) „ვულგარული ფსორიაზის ადგილობრივი (ტოპიკური) მკურნალობა“ (დანართი N11);
- მ) „ფსორიაზის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმები“ (დანართი N12);
- ნ) „ტერნერის სინდრომის დიაგნოსტიკა და მართვა ბავშვებსა და მოზარდებში“ (დანართი N13);
- ო) „ცისტური ფიბროზის მართვა ბავშვებსა და მოზარდებში“ (დანართი N14);
- პ) „სქესობრივი განვითარების ანომალიები პაციენტებში ქალური ფენოტიპით“ (დანართი N15);
- ჟ) „ენდომეტრიუმის პოლიპების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ (დანართი N16);
- რ) „ჰიპერპროლაქტინემიური სინდრომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ (დანართი N17);
- ს) „საზარდულის ჩაჭედილი თიაქარის მკურნალობა მოზრდილთა ასაკში“ (დანართი N18);

- ტ) „პრეგესტაციური დიაბეტის მართვა“ (დანართი N19);
- უ) „მწვავე აპენდიციტის მართვა მოზრდილებში“ (დანართი N20);
- ფ) „ბაქტერიული მენინგიტის მართვა“ (დანართი N21);
- ქ) „ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი დაავადების მართვა“ (დანართი N22).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგვენკო